ადრესატი: მაგდა ქათამაძე
პირადი ნომერი: 61010018774
მისამართი: შუახევი ს. ჭვანა

ადრესატი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭო

წერილის ნომერი: **14-1422154174**
თარიღი: **03/06/2022**

მოქალაქე მაგდა ქათამაძეს
მცხოვრები: შუახევი, სოფელი ჭვანა

ასლი: აჭარის ა/რ უმაღლესი საბჭოს საფინანსო - საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს ქალბატონ მარინე ევგენიძეს

თქვენს, მიმდინარე წლის 30 მაისს, აჭარის უმაღლესი საბჭოდან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში გადმოგზავნილ პეტიციასთან (განაცხადი 19-1422150521-14) მიმართებაში: „აჭარის მუნიციპალიტეტების ცენტრებში თავისუფალი სივრცეების მოწყობის თაობაზე“, - როგორც პეტიციაშია აღნიშნული, ბათუმში 2012 წელს დაარსდა თავისუფალი სივრცე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრის“ სახით.

ამასთან, გარდა აღნიშნული სივრცისა, ქალაქში ფუნქციონირებს სხვა თავისუფალი სივრცეებიც, რომელთა შორის გამორჩეულია „ბათუმის მერიის ახალგაზრდული ცენტრი / Youth Center Of Batumi City Hall“ (რუსთაველის 51), სადაც, გარდა სივრცით უსასყიდლოდ სარგებლობისა, დაინტერესებულ ფიზიკურ/იურიდიულ პირებს (ახალგაზრდებს და ახალგაზრდული საქმიანობით დაკავებულ ორგანიზაციებს) გააჩნიათ შესაძლებლობა თავისუფლად შეიკრიბონ, მოაწყონ შეხვედრები, მიიღონ არაფორმალური განათლება, დაესწრონ ტრენინგებს, სემინარებს, ჩაატარონ ლიტერატურული საღამოები, კინოჩვენებები (განხილვებით), ასევე, დაგეგმონ და განახორციელონ თავიანთი პროექტები.

მიუხედავად არსებული შესაძლებლობებისა, უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივი სივრცეები საჭიროებს დამატება/გაფართოებას, რასაც ამტკიცებს, „მუნიციპალურ და რეგიონულ დონეზე - ახალგაზრდების საჭიროებებისა და გამოწვევების" შესახებ ჩატარებული კვლევაც (კვლევისა და საკონსულტაციო კომპანია „ეისითი“, აგვისტო, 2021), რომლის მიგნებებში, აღნიშნულია, რომ „ხელმისაწვდომობა სივრცეებზე შეკრებებისთვის (აჭარის რეგიონი - 5%, ბათუმის მუნიციპალიტეტი - 6%) დაბალია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების საშუალოვადიანი განვითარების გეგმა - პრიორიტეტის დოკუმენტი ითვალისწინებს დამატებით ახალგაზრდული/თავისუფალი სივრცეების შექმნას ქალაქის სხვადასხვა ადმინისტრაციულ უბანში, რაც ერთი მხრივ, გაზრდის სივრცეებზე ხელმისაწვდომობას და მეორე მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობასა და ჩართულობას.

პატივისცემით,

სოფიკო ხალვაში

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერის
მოადგილე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი